ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
დოქტორანტურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება აწესრიგებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ პროცედურებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

თავი I. დოქტორანტურა

მუხლი 2. დოქტორანტურა

1. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, დოქტორანტურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

მუხლი 3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება:

ა. ფაკულტეტის პროფესორების, ასოცირებული პროფესორების ან/და ემერიტუსების მიერ.
ბ. უნივერსიტეტის სხვა ერთ ან რამდენიმე ფაკულტეტთან, უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებთან, პარტნიორ-უნივერსიტეტთან, სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებასთან ერთობლივად სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.
2. დოქტორანტურის საგანმანათელებლო პროგრამას განიხილავს ფაკულტეტის შესაბამისი დარგობრივი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გადაწყვეტილებას დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ ეტაპზე დაშვების შესახებ იღებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.
3. დოქტორანტურის საგანმანათელებლო პროგრამის ამოქმედების აუცილებელი პირობაა მისი მატერიალური და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა.
4. დოქტორანტურის საგანმანათელებლო პროგრამას ხელმძღვანელობს (ხელმძღვანელობენ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ემერიტუსი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეციალობით გამოქვეყნებული დადებითი "იმპაქტ-ფაქტორის" (ISI Thomson Web of Knowledge კლასიფიკატორის მიხედვით) ერთი ნაშრომი მაინც. სადოქტორო პროგრამის ერთ- ერთი მოდულის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სათანადო დარგის სხვა სპეციალისტიც.
5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს:

ა. უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან/და ემერიტუსი;

ბ. პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერი;

გ. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი დარგის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება ხორციელდება:

ა. იურიდიული პირის მიერ, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე, მაგრამ ამ მომენტისათვის არსებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთი ან ერთზე მეტის პროგრამის არჩევის პირობით – მიზნობრივი დაფინანსება;

ბ. დოქტორანტის მიერ – თვითდაფინანსება;

გ. დოქტორანტურის გრანტით დაფინანსება;

დ.სხვა ისეთი სახის დაფინანსება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 4. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

3. დოქტორანტს აქვს უფლება მობილობის საშუალებით შეიცვალოს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ერთი ფაკულტეტის ფარგლებში.

მუხლი 5. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი

1. დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებას შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებულ კომისიაზე. თუკი შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მისაღებ გამოცდას სპეციალობაში დოქტორანტი აბარებს გამოცდას დადგენილი წესით.

2. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობაა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ან შესაბამისი მოდულის ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა.

3. დოქტორანტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სამეცნიერო ხელმძღვანელი.

4. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (გერმანული, ინგლისური ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას მოეთხოვება ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნა.

5. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატს, თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული - ქართული ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში. ქართულ ენაში გამოცდისგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუკი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტი/კომპონენტები ხორციელდება ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას, ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტს ეკისრება ვალდებულება,

დისერტაციის დაცვამდე სულ მცირე ორი სემესტრით ადრე დაადასტუროს ქართული ენის ცოდნა ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით, თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული - ქართული ენის ცოდნის ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან გამოცდით.

6. დოქტორანტურაში ჩარიცხვისათვის წარმოსადგენი საბუთების ნუსხა და საბუთების წარმოდგენის ვადები განისაზღვრება თსუ რექტორის ბრძანებით.

მუხლი 6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. დოქტორანტის სადისერტაციო თემის დამტკიცებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის (ხელმძღვანელების) დანიშვნის გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო შესაბამისი სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით. იმ შემთხვევაში, თუკი პროგრამის შესაბამისი სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია არ არის, ფაკულტეტის საბჭოსადმი წარდგინებას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის (ხელმძღვანელების) კანდიდატურა(ები) და სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება ფაკულტეტის საბჭოს უნდა წარედგინოს დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში.

2 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვნელად შეიძლება დამტკიცდეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები, რომელთაგან ერთი ნაშრომი მაინც გამოქვეყნებულია დადებითი ''იმპაქტ ფაქტორის'' (ISI Thomson Web of Knowledge კლასიფიკატორის მიხედვით) მქონე ჟურნალში.

3. დოქტორანტის ხელმძღვანელი კონტროლს უწევს ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულებას. თუკი დოქტორანტის ხელმძღვანელი არ არის თსუ აკადემიური პერსონალი, მაშინ დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი ან შესაბამისი მოდულის ხელმძღვანელი. გადაწყვეტილებას ხელმძღვანელის დამტკიცების თაობაზე იღებს ფაკულტეტის საბჭო.

4. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე, ამის შესახებ მან სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადებით უნდა მიმართოს სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას (ან პროგრამის ხელმძღვანელს იმ შემთხვევაში თუკი არ არის შესაბამისი სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია). გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო.

5. თუკი დოქტორანტს ყავს ორი ან მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი, მაშინ ამ მუხლის 2 პუნქტის მოთხოვნა შესაძლებელია გავრცელდეს მხოლოდ ერთ-ერთ ხელმძღვანელზე.

მუხლი 7. დოქტორანტურაში სწავლა

1. დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევითი კომპონენტებს.
2. სასწავლო და კვლევითი კომპონენტები განისაზღვრება დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით.
3. თუ დოქტორანტი ამავდროულად არის თსუ-ს ასისტენტი/მასწავლებელი ან მოწვეული პერსონალი, უძღვება სალექციო/პრაქტიკულ/სემინარულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებს, შესრულებული სამუშაო შესაძლებელია ჩაეთვალოს პროფესორის ასისტენტობაში ამ სტანდარ-ტით პროფესორის ასისტენტობისთვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტების მინიმალური რაოდენობით (5 ECTS კრედიტი) იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სამუშაო შესრულ-და ანაზღაურების გარეშე.

4. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს არანაკლებ 6 სემესტრი, დოქტორანტის ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ მისი მომდევნო სემესტრში რეგი-სტრაციის წინაპირობა არის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა ფაკულტეტის წინაშე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძე-ლების მიზანშეწონილობა. ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ დოქტორანტს უფლება აქვს აირჩიოს დამატებით არაუმეტეს 4 სემესტრისა.
5. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისთვის.
6. დოქტორანტურაში კრედიტების დაგროვება ხორციელდება თსუ მინიმალური სტანდარტით დადგენილი წესით.

7. დოქტორანტურაში სწავლის განმავლობაში ჩატარებული სამეცნიერო კვლევის შედეგები აისახება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომში.

8. დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის გადასახადისგან სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის მომენტიდან.

9 სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს სულ მცირე სამი სამეცნიერო ნაშრომის სახით – რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში, რომელთაგან ერთი მაინც დადებითი „იმპაქტ–ფაქტორის“ (ISI Thomson Web of Knowledge კლასიფიკატორის მიხედვით, ჟურნალის ISSN კოდის მითითებით) მქონეა. ხოლო ფიზიკის პროგრამის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს სულ მცირე სამი სამეცნიერო ნაშრომის სახით – რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში, რომელთაგან ორი მაინც დადებითი „იმპაქტ–ფაქტორის“ (ISI Thomson Web of Knowledge კლასიფიკატორის მიხედვით, ჟურნალის ISSN კოდის მითითებით) მქონეა.

9. ერთი იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთ სადისერტაციო ნაშრომში. დოქტორანტს ნაშრომი გამოქვეყნებულად ეთვლება მაშინაც, როცა ის მიღებულია დასაბეჭდად, რაც დასტურდება ჟურნალის რედაქციის მიერ გაცემული ცნობით ან გამოცემის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსებული ინფორმაციით.

მუხლი 8. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

1. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა რეგულირდება კანონმდებლობის შესაბამისად

თავი II. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები სხვა უნივერსიტეტებთან

მუხლი 9. პროგრამები და ხარისხის მინიჭება.

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიძლება განხორციელდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა თსუ-სა და სხვა უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით.

2. დოქტორანტურის იმ საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ უნივერსიტეტის და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხი, შესაძლებელია არსებობდეს დისერტაციის დაცვის განსხვავებული რეგლამენტი, რომელსაც შეიმუშავებენ მხარეები (შესაბამისი ფაკულტეტები) და ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.

3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ერთობლივი სადოქტორო ხარისხის მინიჭება.

4. დოქტორანტის ხელმძღვანელობის და ხარისხის მინიჭების წესები რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულებით, უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის მოთხოვნებით, წინამდებარე დებულების მოთხოვნებით და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

5. უცხოეთის უნივერსიტეტებთან დოქტორანტურის საგანმნათლებლო პროგრამის ხელშეკრულების გაფორმება რეგულირდება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილობრივ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ნაწილობრივ გავლასთან დაკავშირებული საქმის წარმოების წესისა და გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2015 წლის 18 მარტის N46/01-01 ბრძანებით. ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის დეპარტამენტის ხელმძღვანელი წარმოადგენს წერილობით დასკვნას სხვა უნივერსიტეტთან თანამშრომლობით პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ. დასკვნა უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტულ დარგში პოტენციური პარტნიორი უნივერსიტეტის სამეცნიერო მიღწევებს. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ხელშეკრულება ეგზავნება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების პროექტის დაგზავნას პროფილურ სტრუქტურულ ერთეულებში.

თავი III. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა, დაცვა და აკადემიური ხარისხის მინიჭება

მუხლი 10. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა, დაცვა და აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების, უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტისა და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.

მუხლი 11. გარდამავალი დებულებები.

დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით განსაზღვრული პირობების შესრულება სავალდებულო იქნება აღნიშნული სტანდარტის ძალაში შესვლის შემდეგ შემუშავებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. მოქმედ აკრედიტებულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე 2018 წლის 27 დეკემბრის აკადემიური საბჭოს #245/2018 დადგენილებით დამტიკიცებული სტანდარტით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებული პირობების შესრულება სავალდებულო იქნება მათი რეაკრედიტაციის და/ან პროგრამის სასწავლო კომპონენტის ცვლილებების შემდგომ ჩარიცხული დოქტორანტებისათვის. კვლევით კომპონენტთან დაკავშირებული პირობების შესრულება კი ძალაში შევიდა დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცებისთანავე.